სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 მარტი, 2026 წ.

ბრძანება №01-02/62

ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13-14 მუხლების, „ბსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო ნუსხის (განრიგის) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 31 მარტის №01-55/04 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობა, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად და ამოქმედდეს 2026 წლის 01 აპრილიდან.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს, ფაკულტეტებს და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და განთავსდეს რექტორის მოადგილეების პირად საქმეებში.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

,, ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 მარტის №01-02/62 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობა

1. ბსუ-ს რექტორის უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი **ფუნქციები (საკურატორო/საკოორდინაციო სფერო/**მიმართულებები) განესაზღვროს რექტორის მოადგილეებს:

ა) რექტორის მოადგილე **გიორგი ქათამაძეს** (ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ- პროფესორი);

ბ) რექტორის მოადგილე **თამარ სირაძეს** (ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი).

2. რექტორის მოადგილე **გიორგი ქათამაძის ფუნქციებია (საკურატორო/საკოორდინაციო მიმართულებები** - ძირითადად <u>სასწავლო, სამეცნიერო, სტრატეგიული და ინოვაციური განვითარების</u> მიმართულებით**):**

2.1. ყველა საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის სადოქტორო პროგრამების) სასწავლო გეგმების განხორციელების კოორდინაცია, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით;

2.2. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების და საქმიანობის შეფასების პროცესის კოორდინირება;

2.3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესის კოორდინირება;

2.4. ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო და რეზიდენტურის პროგრამების სასწავლო პროცესის ადმინისტრირების კოორდინირება (მათ შორის სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის მომზადებისა და მართვის პროცესის კოორდინირება);

2.5. ბსუ-ში სამეცნიერო და სასწავლო პროცესების დაგეგმვის და განხორციელების ადმინისტრირება;

2.6. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სამეცნიერო ცენტრების საქმიანობის კოორდინირება <u>(მათ შორის:</u> ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ ყოველწლიური ანგარიშების დადგენილ ვადაში წარდგენის პროცესის ორგანიზების კოორდინაცია; სამეცნიერო ინსტიტუტების სამოქმედო გეგმების წარმოდგენა-დამტკიცების და ყოველწლიური ანგარიშების დადგენილ ვადაში წარდგენის ორგანიზება); სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ბსუ-ს საგრანტო პროექტებით (საერთაშორისო, ეროვნული და შიდა მიზნობრივი პროექტები) გათვალისწინებული საქმიანობის კოორდინაცია, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ახალი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზება და სხვა);

2.7. სამეცნიერო გრანტებისა და საერთაშორისო პროექტების მართვის კოორდინაცია;

2.8. ბიბლიოთეკის საქმიანობის კოორდინაცია;

2.9. სასწავლო რესურსების და ელექტრონული სერვისების (მათ შორის ბსუ-ს პორტალის) მართვისა და განვითარების კოორდინაცია;

2.10. აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვის პროცესის კოორდინირება, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით;
2.11. სტრატეგიული განვითარების მიმართულებით ბსუ-ს საქმიანობის კოორდინირება (მათ შორის ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი);
2.12. ბსუ-ს ინოვაციური პროექტებისა და სტარტაპების განვითარების ხელშეწყობა;
2.13. ბიზნესთან და ინდუსტრიასთან ბსუ-ს პარტნიორობის ხელშეწყობის პროცესის კოორდინირება;
2.14. რეგიონული განვითარების პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის კოორდინაცია;
2.15. უნივერსიტეტის პოპულარიზაციის ხელშეწყობა და ბრენდინგის კოორდინაცია.

3. რექტორის მოადგილე **თამარ სირაძის ფუნქციებია (საკურატორო/საკოორდინაციო მიმართულებები** - ძირითადად საზოგადოებასთან, საერთაშორისო ურთიერთობების, სტუდენტთა მომსახურების/კარიერული განვითარებისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით):
3.1. საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა;
3.2. საერთაშორისო პარტნიორობისა და ქსელების განვითარების ხელშეწყობა;
3.3. გაცვლითი პროგრამების კოორდინაცია სტუდენტებისა და პერსონალისთვის;
3.4. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის პროცესის ხელშეწყობა;
3.5. უცხოენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა;
3.6. საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზების და ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებების (შეთანხმებების) მომზადების და გაფორმების კოორდინირება;
3.7. ბსუ-ს საქმიანობასთან დაკავშირებით საერთაშორისო აკრედიტაციისა და რეიტინგების საკითხების კოორდინაცია;
3.8. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის (მესამე მისიის) მიმართულებით პროგრამების განვითარების და უნივერსიტეტის საქმიანობის კოორდინირება;
3.9. საერთაშორისო გრანტების მოზიდვის კოორდინაცია და საერთაშორისო პროექტების ინიცირება;
3.10. საერთაშორისო სეზონური სკოლების, კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზების კოორდინირება;
3.11. სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სერვისების განხორციელებისა და განვითარების კოორდინაცია;
3.12. ბსუ-ში სპორტული და კულტურული აქტივობების განვითარების კოორდინაცია;
3.13. სტუდენტთა კარიერული განვითარების პროგრამების ადმინისტრირება და სტუდენტთა დასაქმების პროცესის ხელშეწყობა (დამსაქმებლებთან კომუნიკაცია);
3.14. ბსუ-ს კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განვითარების პროცესის მხარდაჭერა;
3.15. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის პროცესის კოორდინაცია, ასევე უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობა.

4. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისათვის **რექტორის მოადგილეების საკოორდინაციოდ განისაზღვროს ბსუ-ს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:**

4.1. რექტორის მოადგილე გიორგი ქათამაძის საკურატორო/საკოორდინაციო სტრუქტურული ერთეულები:

ა) ფაკულტეტები;
ბ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტი;
გ) სამეცნიერო კვლევების სამსახური;
დ) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;
ე) სტრატეგიული განვითარების სამსახური;
ვ) გამომცემლობა;
ზ) ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა;
თ) საგამოცდო ცენტრი;
ი) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (საერთაშორისო ხელშეკრულებების/მემორანდუმების ფარგლებში სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით სტუდენტების და პერსონალის გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების მიმართულებით).

4.2. რექტორის მოადგილე თამარ სირაძის საკურატორო/საკოორდინაციო სტრუქტურული ერთეულები:

ა) ბსუ-ს ფაკულტეტები (უცხო ენის სწავლების/უცხოელი სტუდენტების სწავლების საკოორდინაციო მიმართულებით, მათ შორის ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი - ასევე ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი პროგრამის ნაწილში);
ბ) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (საერთაშორისო ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმების მიმართულებით);
გ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი;
დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
ე) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.

5. რექტორის არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება ან სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა) რექტორის მოვალეობა შეასრულოს რექტორის მოადგილე გიორგი ქათამაძემ.
6. რექტორის და რექტორის მოადგილე გიორგი ქათამაძის არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება ან სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა) რექტორის მოვალეობა შეასრულოს რექტორის მოადგილე <u>თამარ სირაძემ.</u>
7. ბსუ-ს რექტორის სამსახურებრივი განკარგულების შესაბამისად, შესაძლებელია რექტორის მოადგილეებს დაეკისროს სხვა უფლებამოსილებები/ფუნქციები (ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით ან/და ზეპირი სამსახურებრივი განკარგულებით).
8. რექტორის მოადგილეების საკოორდინაციო სფეროში მომზადებული ყველა სამართლებრივი აქტის/წერილის/დოკუმენტის <u>ვიზირება</u> განხორციელდეს შესაბამისი რექტორის მოადგილის მიერ.